

EMC დეკანოზ გიორგი მამალაძის სისხლის სამართლის საქმეზე სამართლებრივი შეფასების დოკუმენტს აქვეყნებს

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) დეკანოზ გიორგი მამალაძის სისხლის სამართლის საქმის შეფასების დოკუმენტს აქვეყნებს და საქმეში მნიშვნელოვან პროცესუალურ და მატერიალურ-სამართლებრივ ხარვეზებზე უთითებს, რომელიც მთლიანობაში დეკანოზის მიმართ სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევისა და განაჩენში ბრალდების აშკარად სუსტი დასაბუთების პრობლემას აჩვენებს.

1. შეფასების ფარგლები და ლიმიტაციები

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ EMC-ის საქმის მასალებზე წვდომის, ან პროცესის მონიტორინგის შესაძლებლობა არ ჰქონდა საქმეზე ბრალდებული პირისთვის და მისი ინტერესების დამცველებისთვის გაუხმაურებლობის პირობის ჩამორთმევის გამო. შესაბამისად, ორგანიზაცია მოკლებული იყო ბრალდების დასაბუთების დეტალური შეფასების შესაძლებლობას და წინამდებარე შეფასება არსებითად სასამართლო განაჩენების სამართლებრივ ანალიზს ეფუძნება.

2. ჩხრეკის დროს გამოვლენილი არსებითი დარღვევები და მტკიცების ტვირთის პრობლემა საქმეში

საქმეზე დამდგარი განაჩენების ანალიზი აჩვენებს, რომ გიორგი მამალაძე ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-18, 108-ე და 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც მკვლელობის მომზადებას, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა/შენახვას გულისხმობს. დეკანოზს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

ორივე ინსტანციის სასამართლოს განაჩენების ანალიზი აჩვენებს, რომ პროკურატურის მიერ მტკიცებულებათა მოპოვების პროცესი მნიშვნელოვანი დარღვევებითაა წარმართული. კერძოდ, გ. მამალაძის დაკავება განხორციელდა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, მას შემდეგ რაც მან საპასპორტო კონტროლი გაიარა და ბარგი ჩააბარა. საგამოძიებო ორგანოს მიერ ბარგის ამოღება მსჯავრდებულის დაუსწრებლად, ვიდეოგადაღების გარეშე განხორციელდა და ბარგი მას დაკავებიდან დაახლოებით ცხრა საათის შემდგომ წარედგინა. ბარგის წარდგენის შემდგომ, საგამოძიებო ორგანომ დათვალიერება კვლავ ვიდეოგადაღების გარეშე განახორციელა და განაჩენების თანახმად, სწორედ ამ დროის იქნა აღმოჩენილი დანაშაულის საგანი (ციანიდი), რაზეც მსჯავრდებულმა მიუთითა, რომ ნივთი მას არ ეკუთვნოდა და სავარაუდოდ ჩაუდეს.

განაჩენების მიხედვით, ბარგის ამოღებისა და დათვალიერების პროცესს ესწრებოდა აეროპორტის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი, რომელიც სასამართლომ ნეიტრალურ მოწმედ მიიჩნია და არ გაიზიარა გ. მამალაძის ინტერესების დამცველების მითითება ბარგის დაუსწრებლად ამოღების შესახებ. უნდა აღნიშნოს, რომ სასამართლოს მსგავსი მსჯელობა შეუსაბამოა, რადგან გ. მამალაძეს დაკავებიდან თითქმის ცხრა საათის განმავლობაში არ ჰქონია შესაძლებლობა ეკონტროლებინა სამართალდამცავთა მოქმედებები ბარგთან მიმართებით და დასახელებული მოწმე ბარგის ამოღების შემდგომ

სამართალდამცავების მიერ ბარგის გადაადგილების ფაქტობრივ გარემოებებს ვერ აზუსტებდა. ცხადია, ამ დროის განმავლობაში ბარგის დაკავებული პირის კონტროლის გარეშე ყოფნის ფაქტი, აჩენს ეჭვს სამართალდამცავი ორგანოების მიერ დანაშაულის საგნის ამოღების პროცესის კანონიერებასთან დაკავშირებით.

ეჭვს აძლიერებს ის გარემოებაც, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა გ. მამალაძე საპასპორტო კონტროლის გავლამდე არ დააკავეს და აღნიშნული მხოლოდ ბარგის მისი მეთვალყურეობიდან გასვლის შემდგომ განახორციელეს. აქვე მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ განაჩენების თანახმად, გ. მამალაძის კუთვნილი ბარგის აეროპორტის სკანერში გატარებისას არ დაფიქსირდა დანაშაულის საგანი, რაც პროკურატურის მოწმეთა განმარტებით, ტექნიკურად შესაძლებელი იყო. აღნიშნულისგან განსხვავებით, დაცვის მხარის განმარტებით, მათ მოწმეს შეეძლო სასამართლოსთვის დაედასტურებინა, რომ სკანერის მეშვეობით მცირე ზომის, საეჭვო ნივთების აღმოჩენა შესაძლებელი იყო. თუმცა, აღნიშნულის შესაძლებლობა მათ სასამართლოში არ მიეცათ, რადგან მოსამართლემ მოწმის სრულყოფილად დაკითხვის შესაძლებლობა არ შექმნა.

პროკურატურის მიერ მოპოვებული მტკიცებულების საეჭვოობაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ განაჩენების მიხედვით, პროკურატურას არ მოუხდენია აეროპორტში განთავსებული ვიდეოკამერების ჩანაწერების ამოღება და გ. მამალაძის ადვოკატების მოთხოვნის მიუხედავად, სასამართლომ ამის საშუალება მათაც არ მისცა. ამასთან ერთად, პროკურატურამ ამოღებულ დანაშაულის საგანზე (ციანიდზე) არ ჩაატარა დაქტილოსკოპიური და გენეტიკური ექსპერტიზა, რათა დადგენილიყო დანაშაულის საგანთან გ. მამალაძის შემხებლობა. ამ გარემოებაზე განაჩენებში მითითებულია, რომ ადვოკატებს თავად შეეძლოთ საექსპერტო კვლევების განხორციელება და პროკურატურას ეს ვალდებულება არ გააჩნდა. უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს მსგავსი მსჯელობა ახდენს მტკიცების ტვირთის მოდიფიცირებას და იგი კანონის საწინააღმდეგოდ დაცვის მხარეზე გადააქვს.

განაჩენების მიხედვით, საგამოძიებო ორგანოები გიორგი მამალაძის დაკავებამდე რამდენიმე თვით ადრე მის მიმართ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს (რაც მისი სატელეფონო საუბრების, მიმოწერის, შეხვედრების კონტროლს და ვიდეოგადაღებას მოიცავს) ახორციელებდნენ თუმცა, არ დაუდგენიათ ვისგან და როდის შეიძინა გიორგი მამალაძემ დანაშაულის საგანი. აღნიშნული გარემოება მით უფრო მნიშვნელოვანია იმ პირობებში, როდესაც საქმის მთავარმა მოწმემ, რომელიც უთითებდა, რომ მამალაძემ მას სთხოვა ციანიდის მოძიება, სასამართლოს წინაშე არ დაადასტურა, რომ მსჯავრდებულმა ციანიდი მისგან შეიძინა.

სამართლიანი სასამართლოს უფლების ფარგლებში მთლიანად პროცესის სამართლიანობის შეფასებისას, ყურადღება ექცევა მტკიცებულებათა მოპოვების გზებს, მათ შორის კონვენციის სხვა მუხლის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხს.¹ ჩხრეკის ჩატარებისას კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული უფლების ეფექტური დაცვის მიზნით დამაბალანსებელი მექანიზმების საჭიროებაზე მსჯელობისას ევროპის ადამიანის უფლებათა

¹ Khan v. the United Kingdom, judgment of 12 May 2000, § 34

სასამართლო უთითებს მათ შორის ისეთ პროცედურულ გარანტიებზე როგორიცაა მაგალითად ჩხრეკის ჩატარება ნეიტრალური მოწმის თანდასწრებით.² უფლებაში ჩარევის შეფასებისას მნიშვნელოვანია ასევე თუ რამდენად შეესაბამება ჩატარებული ღონისძიება ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებს. საქმეში *Perry v. UK* სასამართლომ მიიჩნია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული კანონმდებლობა ცნობდა ექვმიტანილთა იდენტიფიკაციის მიზნით ვიდეოგადაღების შესაძლებლობას, პოლიციის მხრიდან უფლების დაცვის პროცედურული გარანტიების უგულვებელყოფა ეწინააღმდეგებოდა უფლებაში მხოლოდ კანონის საფუძველზე ჩარევის მოთხოვნას. თუმცა, იმისთვის რომ აღნიშნული დარღვევა რელევანტური იყოს ასევე სამართლიანი სასამართლოს ჭრილში, უნდა შეფასდეს ფაქტორები, რაც მის საფუძველზე განაჩენის გამოტანას გახდიდა უსამართლოს.³

დეკანოზი გიორგი მამალაძის საქმეში მთავარ მტკიცებულებას წარმოადგენდა ციანიდი, რომელიც ამოღებულ იქნა პროცედურული დარღვევებით ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, რაც განხილულ უნდა იქნეს მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში უკანონო ჩარევად. რაც შეეხება კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებობის საკითხს, იგი უნდა შეფასდეს აღნიშნული მტკიცებულების ხარისხისა და მნიშვნელობის, აგრეთვე ბრალდებულის მიერ დაცვის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობის გათვალისწინებით.⁴

მტკიცებულების ხარისხის შეფასებისას ყურადღება ექცევა ისეთი გარემოებების არსებობას, რომელთაც შესაძლოა ექვეშ დააყენოს მათი სანდოობა. მტკიცებულების უტყუარობასთან დაკავშირებული ეჭვების დამატებითი მტკიცებულებებით გაქარწყლების საჭიროება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ შემთხვევებში, როდესაც ასეთი მტკიცებულება გადაწყვეტ როლს თამაშობს საქმეში.⁵ ხოლო დამატებითი მტკიცებულებების მოპოვების საჭიროება სუსტდება განსაკუთრებით ძლიერი და სარწმუნო მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში.⁶ მტკიცებულებათა დასაშვებობის სამართლიანი პროცედურების არსებობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სწორედ მტკიცებულებათა უტყუარობასთან დაკავშირებით არსებული ეჭვის პირობებში.⁷

ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებით ჩხრეკის შედეგად ამოღებული მტკიცებულების უტყუარობის შემოწმებისას საქმეში *Layijov v. Azerbaijan* სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელის ჩხრეკა არ ჩატარებულა მისი დაკავებისთანავე, მაშინ, როდესაც ჩხრეკის დაუყოვნებლივ ჩატარების დამაბრკოლებელი არანაირი მიზეზი არ არსებობდა. ამასთან, დაკავებული გადაყვანილ იქნა არა უახლოეს, არამედ მოშორებით მდებარე პოლიციის განყოფილებაში. შესაბამისად, დაკავებასა და ჩხრეკას შორის 30 წუთიანი შუალედი აჩენდა ლეგიტიმურ ეჭვს მტკიცებულების ჩადებასთან დაკავშირებით, რამდენადაც მოსარჩელე ამ პერიოდის განმავლობაში სრულად იმყოფებოდა პოლიციის კონტროლის ქვეშ.

² *Kucera v. Slovakia*, judgment of 17 July 2007, §122

³ *Perry v. the United Kingdom*, judgment of 26 September 2002, §17

⁴ *Gäffen v. Germany*, judgment of 1 June 2010, §165

⁵ *Khan v. the United Kingdom*, § 7

⁶ *Bykov, v. Russia*, judgment of 10 March 2009, §89

⁷ *Allan v. the United Kingdom*, judgment of 5 November 2002, §47

ასეთ ეჭვებს ამყარებდა ასევე მოსარჩელის მოთხოვნის მიუხედავად სასამართლოში ჩხრეკის ამსახველი ვიდეომასალის წარმოდგენილობა.⁸ ჩხრეკის ჩატარებისას მსგავსი პროცედურული დარღვევები დადგინდა აგრეთვე საქმეში Sakit Zahidov v. Azerbaijan, სადაც, სასამართლომ დამატებით გაითვალისწინა, რომ მოსარჩელის დაკავებისას დაუყოვნებლივ არ შედგა დაკავების ოქმი და რომ დაკავებასა და ჩხრეკას არ დასწრებია მოსარჩელის ადვოკატი.⁹

მნიშვნელოვანია, რომ მიუხედავად მოსარჩელების მიერ მტკიცებულებათა უტყუარობასთან დაკავშირებით დასმული კითხვებისა, ეროვნულმა სასამართლოებმა, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, სათანადო გამოკვლევის მიღმა დატოვეს აღნიშნული საკითხი და ამის შესახებ არც განაჩენში გაუკეთებიათ მითითება. შესაბამისად, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელებს არ მიეცათ ეროვნულ დონეზე მტკიცებულების სანდოობაზე და მისი გამოყენების აკრძალვაზე დავის შესაძლებლობა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლომ დაასკვნა, რომ გარემოებები, რომელშიც მტკიცებულება იქნა მოპოვებული და მისი უტყუარობის გამოკვლევის უგულვებელყოფა ეროვნული სასამართლოების მხრიდან საკმარისი იყო მთლიანად პროცესის უსამართლოდ მიჩნევისათვის.

იმ პირობებში, როდესაც გ. მამალაძე დანაშაულის საგნის მისთვის „ჩადებაზე“ მიუთითებდა, ციანიდის შემენის ფაქტის დადგენა და ნეიტრალური მტკიცებულებების, მათ შორის ექსპერტიზის დასკვნების, არსებობა მნიშვნელოვანი გარემოებაა, რაც გამორიცხავდა მტკიცებულების უტყუარობასთან დაკავშირებულ ეჭვებს. აღნიშნულის მიუხედავად, ორივე ინსტანციის სასამართლოს არ შეუფასებია მტკიცებულების უტყუარობის საკითხი, რითაც დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის დადგენილი პრინციპი ყველა ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტის შესახებ.

3. სასამართლოს განაჩენებში მტკიცების ტვირთის შემოტრიალების და დაუსაბუთებლობის პრობლემა

გიორგი მამალაძის მიმართ ორი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ განაჩენებში იკვეთება საქართველოს კონსტიტუციისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი მტკიცების ტვირთის ტრანსფორმირებისა და დაცვის მხარისთვის გადაკისრების პრობლემა. კერძოდ, ორივე განაჩენში, დაცვის მხარის მითითებაზე, რომ პროკურატურამ არ უზრუნველყო ცალკეული საგამომიებო/საპროცესო მოქმედებების ჩატარება, რის საფუძველზეც არ იქნა მოპოვებული ბრალდებულის გამამართლებელი მტკიცებულებები, სასამართლოების მიერ განმარტებულია, რომ სისხლის სამართლის პროცესი მიმდინარეობს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე და ამ დათქმით, დაცვის მხარეს თავად შეეძლო განეხორციელებინა საგამომიებო/საპროცესო მოქმედებები და შედეგები წარედგინა სასამართლოსთვის. უნდა აღინიშნოს, რომ დასახლებული პრინციპი გულისხმობს მხარეთათვის თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფას, თუმცა არ გულისხმობს მტკიცების ტვირთის გადატანას დაცვის მხარეზე. საქართველოს კონსტიტუციის 40-ე მუხლით და საქართველოს სისხლის

⁸ Layijov v. Azerbaijan, judgment of 10 April 2014

⁹ Sakit Zahidov v. Azerbaijan, judgment of 12 November 2015

სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილია, რომ „არავინ არ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს“, რაც გულისხმობს, რომ მხოლოდ ბრალდების მხარეა პასუხისმგებელი სასამართლოს წარუდგინოს მტკიცებულებები, რომლებიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას, რისთვისაც მან უნდა ჩაატაროს ყველა აუცილებელი საგამოძიებო/საპროცესო მოქმედება და გამოირიცხოს ყოველგვარი ეჭვი პირის უდანაშაულობის შესახებ. სასამართლოს პრეროგატივაა შეაფასოს ბრალდების მხარის იმიერ წარდგენილი მტკიცებულებები გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს თუ არა პირის ბრალეულობას და არა ის წარადგინა თუ არა დაცვის მხარემ გამამართლებელი მტკიცებულებები. თეორიულად და პრაქტიკულად შესაძლებელია რომ დაცვის მხარე სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობდეს პასიური ფორმით და მოსამართლეს არ შეუძლია განაჩენის დასაბუთებისას მიუთითოს იმ გარემოებაზე, რომ დაცვის მხარეს გამამართლებელი არგუმენტები არ წარმოუდგენია. ბრალდების მხარეზე მტკიცების ტვირთის გადატანით კანონმდებელი პრაქტიკულად ათავისუფლებს დაცვის მხარეს პროაქტიული დაცვისგან. აღნიშნული განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როდესაც ბრალდების მხარეს უწევს უარყოფითი ფაქტების მტკიცება დადებითი ფაქტების საფუძველზე. მითითებულიდან გამომდინარე სასამართლოს უნდა შეეფასებინა არა ის ფაქტი წარადგინა თუ არა დაცვის მხარემ ბრალდებულის გამამართლებელი მტკიცებულებები, არამედ ბრალდების მხარეის მიერ წადგენილი მტკიცებულებები, მტკიცებითი სტანდარტის გათვალისწინებით იყო თუ არა საკმარისი გ. მამალადის დამნაშავედ ცნობისთვის.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტით, სისხლის სამართლის საქმეებში მტკიცებულების მიღების საკითხი მთლიანობაში უნდა განიხილებოდეს მე-6 მუხლის ნაწილში და იგი *Inter alia*, მოითხოვს ბრალდების ტვირთი დაეკისროს ბრალმდებელს.¹⁰ კონვენციის 6-2 მუხლთან დაკავშირებით, რომელიც უდანაშაულობის პრეზუმფციას იცავს, ევროპულმა სასამართლომ საქმეში *Barbera, Mesegue and Jabardo v. Spain* დაადგინა რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია მოითხოვს, რომ მტკიცების ტვირთი პირის ბრალეულობის შეფასების დროს უნდა იყოს ბრალდების მხარეზე და ყოველგვარი ეჭვი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. რაც ასევე იმას გულისხმობს, რომ პირის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდება უნდა ეფუძნებოდეს საკმარის მტკიცებულებებს.

გარდა ამისა, *Sakit Zahidov v. Azerbaijan*-ის საქმეში, მტკიცებულებათა უტყუარობასთან დაკავშირებით გამოთქმულ ეჭვებთან მიმართებით სასამართლო შემოიფარგლა იმაზე მითითებით, რომ აღნიშნული ეჭვი ბრალდებულმა ვერ დაადასტურა პროცესის განმავლობაში. ამგვარი მიდგომა, გიორგი მამალადის საქმის მსგავსად, ბრალდებულს აკისრებს საკუთარი უდანაშაულობის მტკიცების ტვირთს და წინააღმდეგობაში მოდის უდანაშაულობის პრეზუმფციასთან.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საკუთარი უდანაშაულობის დასამტკიცებლად დაცვის მხარისათვის პროკურატურის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გაქარწყლების ტვირთის დაკისრების გამო კონვენციის მე-6 მუხლის მე-2

¹⁰ კაპენაუ ბელგიის წინააღმდეგ, 42914/98, 2005 წლის 13 იანვარი

მუხლის დარღვევა დაადგინა საქმეში *Telfner v. Austria*. სასამართლომ პირის დამნაშავედ ცნობისათვის საკმარის მტკიცებულებად მიიჩნია პოლიციელთა ჩვენებები იმის შესახებ, რომ მანქანას, რომლითაც განხორციელდა ავტოსაგზაო შემთხვევა, ყველაზე ხშირად მოიხმარდა მოსარჩელე და რომ შემთხვევის დროს იგი სახლში არ იმყოფებოდა. აღნიშნული მტკიცებულებების გაქარწყლების ვალდებულება სასამართლომ ბრალდებულს დააკისრა იმის მიუხედავად, რომ დანაშაულის მსხვერპლმა ვერ მოახერხა ბრალდებულის ამოცნობა და გამორიცხული არ იყო შესაძლებლობა, რომ მანქანაზე ბრალდებულის ნაცვლად მისი და მჯდარიყო.¹¹

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო ერთმნიშვნელოვნად არ გამორიცხავს სისხლის სამართალში ფაქტის ან სამართლის პრეზუმფციის არსებობას, თუმცა შენარჩუნებულ უნდა იქნეს გონივრული ფარგლები, იმის გათვალისწინებით თუ რა ინტერესები დგას სასწორზე და რამდენადაა შენარჩუნებული დაცვის განხორციელების უფლება. საქმეში *Salabiaku v. France*,¹² სასამართლომ დარღვევა არ დაადგინა საბაჟო კონტროლის გავლისას მხოლოდ უკანონო საქონლის ფლობის ფაქტიდან გამომდინარე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გათვალისწინების გამო, რადგან ავტომატური გამოყენების ნაცვლად გადაწყვეტილება გამოიტანეს მოპოვებული მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე. გიორგი მამალაძის შემთხვევაში, დამნაშავეობის პრეზუმფცია გამომდინარეობს არა კანონის, არამედ სასამართლოს მიდგომიდან, რომელმაც უტყუარად მიიღო ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება და დაცვის მხარეს დააკისრა საპირისპიროს მტკიცების ტვირთი.

ამ კუთხით, მნიშვნელოვანია, გაიმიჯნოს მკაცრი პასუხისმგებლობა და დანაშაული, რომელიც მოიცავს სუბიექტურ ელემენტებს, ცოდნას და განზრახვას. *Salabiaku v. France*-ის საქმეში, ეროვნულმა სასამართლოებმა განასხვავეს ორი დანაშაულის შემადგენლობა და *Salabiaku*-ს სასარგებლო გადაწყვეტილება გამოიტანეს ნარკოტიკების უკანონო ექსპორტთან მიმართებით იქიდან გამომდინარე, რომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები არ გამორიცხავდა, რომ *Salabiaku*-ს მართლაც არ სცოდნოდა ჩანთაში არსებული ნივთიერებების შესახებ. სუბიექტური ელემენტის - ცოდნის დასადასტურებლად სასამართლომ არასაკმარისად მიიჩნია მაგალითად მითითება იმის შესახებ, რომ ბრალდებულს არ გამოუთქვამს გაკვირვება ჩანთის დათვალიერებისას ნარკოტიკების აღმოჩენის დროს. ამის მსგავსად, გიორგი მამალაძის საქმეში, დანაშაულის მომზადების განზრახვასთან დაკავშირებული ეჭვი უნდა გადაწყვეტილიყო ბრალდებულის სასარგებლოდ, განსაკუთრებით იმ პირობებში როდესაც არ გამორიცხულა ჩხრეკის შედეგად ამოღებული ციანიდის „ჩადების“ ფაქტი და დანაშაულის მომზადების განზრახვა არ არის გამყარებული გონივრულ ეჭვს მიღმა არსებული სხვა მტკიცებულებებით.

4. საჯაროობის პრინციპის დარღვევა საქმეში

¹¹ *Telfner v. Austria*, judgment of 20 March 2001, §18

¹² *Salabiaku v. France*, judgment of 7 October 1988

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია გ. მამალაძის საქმის სასამართლო განხილვა დახურულ რეჟიმში მიმდინარეობდა, რასაც მისი ინტერესების დამცველები აპროტესტებდნენ და დაუსაბუთებლად მიიჩნევდნენ. ეს საკითხი შეფასებულია პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში და მითითებულია, რომ სხდომის დახურვის გადაწყვეტილება მოსამართლემ რელიგიური პირის მიმართ საქმის განხილვის გამო, საზოგადოებაში დამკვიდრებული რელიგიური ზნეობრივი პრინციპებიდან, საქართველოს საზოგადოების უმრავლესობისთვის რელიგიური მრწამსის გათვალისწინებით მორალური ზიანის მიყენებიდან გამომდინარე მიიღო. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლი ამომწურავად ითვალისწინებს სხდომის დახურვის შემთხვევებს და მათ შორის არ მოიაზრება საზოგადოების მორალურ-რელიგიური პრინციპები. აღნიშნული საკითხი აგრეთვე შეაფასა სააპელაციო სასამართლომ, სადაც აგრეთვე დახურულ რეჟიმში გაგრძელდა საქმის განხილვა და ამჯერად დახურვის არგუმენტად ადვოკატის უსაფრთხოების დაცვა და პროცესის მონაწილეთა პირადი ცხოვრების დაცვა მიუთითა, იმ პირობებში როცა სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს მოწმეთა დაკითხვა არ ხორციელდებოდა.

სხდომის საჯაროობის პრინციპი დემოკრატიულ საზოგადოებაში სამართლიანი სასამართლოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელების კონტროლსა და სასამართლო სისტემისადმი ნდობის შენარჩუნებას.¹³ მართალია ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს სხდომის საჯაროობის პრინციპიდან გამონაკლისის დაშვებას შესაბამისი საფუძვლების არსებობისას, თუმცა, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო აფასებს რამდენად გამართლებული და აუცილებელია ამგვარი შეზღუდვა.¹⁴

საქმეში სტეფანელი სან-მარინოს წინააღმდეგ, რომელშიც სახელმწიფომ სხდომის დახურვა გაამართლა საქმეში არსებული „სპეციალური გარემოებებით“, სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნული სასამართლოს მიერ სხდომის დახურვის გადაწყვეტილება არ გამომდინარეობდა ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი არცერთი საფუძვლიდან და შესაბამისად, ეწინააღმდეგებოდა სამართლიანი სასამართლოს პრინციპს.¹⁵

მსხვერპლთა, მოწმეთა და პროცესის სხვა მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზეზით პროცესის დახურვის აუცილებლობის შემოწმებისას, სასამართლომ ეროვნული სასამართლოს დასაბუთება ზედმეტად ლაკონურად მიიჩნია და ხაზი გაუსვა, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას სასურველია მიეთითოს კონკრეტული დეტალები პროცესში მონაწილე პირების შესახებ, რაც დაასაბუთებდა სასამართლოს შიშს მათი მოწყვლადობის შესახებ. ასევე, მნიშვნელოვანია შეფასდეს, თუ რატომ აღემატება პროცესის მონაწილეთა უსაფრთხოების დაცვის ინტერესი პროცესის საჯაროობის ინტერესს.¹⁶ იმ შემთხვევებშიც, როდესაც პროცესის მონაწილეთა უსაფრთხოებისათვის შექმნილი რისკი აშკარაა, სასამართლოს მოთხოვნაა, რომ ეროვნულმა სასამართლომ, შეაფასოს ყველა შესაძლო

¹³ Sutter v. Switzerland, judgment of 22 February 1984, § 26

¹⁴ Welke and Bialek v. Poland, judgment of 1 March 2011, § 75-76

¹⁵ Stefanelli v. San Marino, judgment of 8 February 2000, § 21

¹⁶ Belashev v. Russia, judgment of 4 December 2008, § 85

ალტერნატივა და გამოიყენოს უფლების ყველაზე ნაკლებად შემზღუდველი საშუალება. შესაბამისად, უფლების დარღვევა დადგინდა ისეთ შემთხვევაში, როდესაც სასამართლომ სათანადოდ ვერ დაასაბუთა, თუ რატომ არ შეიძლებოდა პროცესის მონაწილეთა უსაფრთხოება უზრუნველყოფილ ყოფილიყო მაგალითად მეტალოდეტექტორების ან სხდომაზე დამსწრე პირთა სკრინინგის საშუალებით. როდესაც მოწმეთა ჩვენება შეიცავს სენსიტიურ ინფორმაციას, მაგალითად გაუპატიურების მსხვერპლის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის ინტერესის არსებობის შემთხვევაში, უფლების ნაკლებად შემზღუდველ საშუალებად ჩაითვლება ასევე პროცესის მხოლოდ ნაწილობრივ, მოწმეთა ჩვენებების მიცემის დროს, და არა მთლიანად დახურვა.¹⁷

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, სხდომის დახურულობის საზიანო ეფექტიდან გამომდინარე, პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომის გაუმართლებელი დახურვის შემთხვევაში, სამართლიანი სასამართლოს უფლების აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის ხელახალი საჯარო განხილვის შემთხვევაში.¹⁸ მოცემულ საქმეში კი სხდომა სრულად იყო დახურული როგორც პირველ, ისე მეორე ინსტანციაში, რაც წინააღმდეგობაშია კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტთან. სასამართლო პროცესების დახურვის მიღმა, გამომიების საწყისი ეტაპიდანვე ადვოკატები, პროკურატურამ საქმის მასალების გაუხმაურებლობის მოთხოვნით შეზღუდა, რის გამოც მათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა საჯაროდ ესაუბრათ საქმეში არსებული დარღვევების შესახებ, მაშინ როცა პროკურატურა საქმის მასალებს ცალმხრივად, კრიტიკული შეფასების გარეშე ასაჯაროებდა და საზოგადოების წინაშე გ. მამალაძის დამნაშავედ წარმოჩენას ცდილობდა. აღნიშნული ქმედება ერთი მხრივ არღვევდა უდანაშაულობის პრეზუმფციას, მეორე მხრივ კი ადვოკატებს პროკურატურასთან აშკარად არათანაბარ პირობებში აყენებდა.

სენსიტიური ინფორმაციის შემცველი გამომიების მასალების გაუხმაურებლობის ვალდებულება შესაძლებელია გამართლდეს მათი კერძო პირებსა და სხვა გამომიებებზე საზიანო გავლენის შესაძლებლობიდან გამომდინარე. ასეთ დროს, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აფასებს არის თუ არა საქმეში საკმარისი დოზით საჯარო განხილვის ელემენტი, იმისთვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ხელისუფლების ორგანების ანგარიშვალდებულება გამომიების პროცესსა და შედეგებთან მიმართებით, აგრეთვე შენარჩუნებულ იქნეს მათ მიმართ ნდობა, რათა გამოირიცხოს მათი მხრიდან უკანონო მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტები.¹⁹

საზოგადოების მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელებაზე კონტროლის ელემენტი არასაკმარისად მიიჩნია სასამართლომ საქმეში *Bobek v. Poland*. ლუსტრაციის პროცედურებთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დაასაბუთოს საქმეში არსებული დოკუმენტების გაუხმაურებლობის ინტერესი, რამდენადაც გაუხმაურებლობა უნდა იყოს გამონაკლისი და არა წესი.²⁰ შესაბამისად,

¹⁷ *Krestovsky v. Russia*, judgment of 28 October 2010, § 30

¹⁸ *Riepan v. Austria*, judgment of 14 November 2000, § 37

¹⁹ *Ramsahai and others v. the Netherlands*, judgment of 15 May 2007, § 349

²⁰ *Bobek v. Poland*, judgment of 28 April 2009, § 69

სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც საქმისთვის მნიშვნელოვანი მასალის უმეტესობის კონფიდენციალურად შენარჩუნების შესახებ გადაწყვეტილება მთლიანად უსაფრთხოების სამსახურის ხელშია, ბრალდებული დგება აშკარად არახელსაყრელ მდგომარეობაში, განსაკუთრებით მეორე მხარის პრივილეგირებული პოზიციის გათვალისწინებით, რაც ხელყოფს სამართლიანი სასამართლოსა და მხარეთა თანასწორობის პრინციპს.

სასამართლო პროცესის ირგვლივ საჯარო დისკუსიების არსებობა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს თანახმად, არა მარტო შესაბამისობაშია სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან, არამედ ხელს უწყობს კიდევ მის განხორციელებას, პროცესის საჯაროობის უზრუნველყოფაში მისი წვლილიდან გამომდინარე. გარდა ამისა, გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში, დაცულია არა მარტო პროცესის შესახებ ინფორმაციის გავრცელების, არამედ, საზოგადოების მხრიდან ასეთ ინფორმაციაზე წვდომის უფლება.²¹ გამოძიების მასალების გაუხმაურებლობის ინტერესი შესაძლოა გამართლდეს მათ შორის მართლმსაჯულების უზრუნველყოფისა და უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვის მიზნით. თუმცა, ლოგიკას მოკლებულია უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვის ინტერესიდან გამომდინარე თავად დაცვის მხარის უფლების შეზღუდვა გაამჟღავნოს საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია, მაშინ, როდესაც პროკურატურის მიმართ მსგავსი შეზღუდვა არ გავრცელებულა. მით უმეტეს, როდესაც საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია უკვე ფართოდ არის გაშუქებული მედიასაშუალებებით და შესაბამისად, კონფიდენციალურობის დაცვა არ წარმოადგენს უპირატეს მოთხოვნას.²²

5. ბრალდების მატერიალურ-სამართლებრივი შეფასების პრობლემა

ზემოთ მითითებული პროცესუალური დარღვევების გარდა უნდა აღინიშნოს, რომ პრობლემურია გ. მამალაძისთვის წარდგენილი და სასამართლოს მიერ დადასტურებული ბრალდება, რომელიც პროკურატურის მოსაზრებით ანგარების მიზნით მკვლელობის მომზადებას, ხოლო სასამართლოს შეფასებით მკვლელობის მომზადებას გულისხმობს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად „დანაშაულის მომზადებად ითვლება დანაშაულის ჩადენისათვის პირობების განზრახ შექმნა“. დანაშაულის პირობებში მოიაზრება მათ შორის დანაშაულის ჩასადენის ხერხის, საშუალების, იარაღის, მსხვერპლთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიება, დანაშაულებრივი ქმედების განზრახვა და სხვა. მნიშვნელოვანია რომ კანონმდებელი აქცენტს პირობების და არა პირობის შექმნაზე აკეთებს, რაც გულისხმობს რომ აღნიშნული კვალიფიკაციისთვის აუცილებელად უნდა დგინდებოდეს ყველა პირობის არსებობა. გ. მამალაძის მიმართ დადგენილი განაჩენები კი ყურადღებას არა პირობებზე, არამედ ერთ პირობაზე ამახვილებს, კერძოდ, განაჩენები ეყრდნობა გ. მამალაძის მიერ ინტერნეტის საშუალებით დანაშაულის საგნის შესახებ ინფორმაციის მოძიებას და არ ასაბუთებს დანაშაულის მომზადებისთვის აუცილებელ ელემენტზე განზრახვის არსებობას. ორივე ინსტანციის სასამართლოს შეფასებით ფარულ ჩანაწერში გ. მამალაძის მიერ დაფიქსირებული რამდენიმე ფრაზა, ჟარგონული გამონათქვამი,

²¹ Worm v. Austria, judgment of 29 August 1997, § 50

²² Dupuis and Others v. France, judgment of 7 June 2007

მზერა და სავარაუდოდ ცუდი ურთიერთობის ქონა დაზარალებულთან ამჟღავნებს მის განზრახვას. სასამართლოს აღნიშნული მსჯელობა მნიშვნელოვან მატერიალურ-სამართლებრივ დარღვევას წარმოადგენს, მაშინ როცა, დანაშაულის მომზადება არა ერთი სხვა ქვეყნის კანონმდებლობით საერთოდ არ ისჯება, რადგან მომზადების ეტაპზე დანაშაულებრივი ქმედების განზრახვის დადგენა ან მისი მცდელობის ეტაპამდე მიღწევა ძალიან პრობლემურია.

ეროვნული სასამართლოების მხრიდან ეროვნული კანონმდებლობისა და ფაქტების შეფასება შეიძლება მხოლოდ აშკარა თვითნებობის ან არაგონივრულობის შემთხვევაში გახდეს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს შეფასების საგანი. მაგალითად, საქმეში **Novalnny and Ofitserov v, Russia** სასამართლომ მიიჩნია, რომ გამამტყუნებელი განაჩენი ერთ მოსარჩელესთან მიმართებით გამოტანილ იქნა ისეთი ქმედებებისთვის, რომელთა გამიჯვნაც რთული იყო ჩვეულებრივი კომერციული საქმიანობისგან, ხოლო მეორეს მიმართ ასეთი ქმედების წაქეზებისთვის. სასამართლომ დაასკვნა, რომ ქმედებები, რომლების დანაშაულებრივად იქნა მიჩნეული რეალურად არ ექცეოდნენ იმ სისხლის სამართლის ნორმის ფარგლებში, რომელშიც მოსარჩელეს ედებოდა ბრალი. სასამართლოს მხრიდან სისხლის სამართლის ნორმა თვითნებურად და განუჭვრეტელი შედეგით, მოსარჩელების საზიანოდ იქნა გამოყენებული, რამაც გამოიწვია აშკარად უსამართლო გადაწყვეტილება, და შესაბამისად, სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა.²³ გიორგი მამალაძის საქმეში სასამართლომ დანაშაულის მომზადების დასადგენად საკმარისად მიიჩნია ინტერნეტში დანაშაულის საგნის შესახებ ინფორმაციის მოძიება და ბრალდებულის სუბიექტური დამოკიდებულება დაზარალებულის მიმართ, რაც ცალკე აღებული სრულიად უწყინარი ქმედებებია, რომელიც სცდება ნორმის განჭვრეტადი განმარტების ფარგლებს და შესაბამისად, წარმოადგენს აშკარად არაგონივრულ და თვითნებურ კვალიფიკაციას. აღწერილი პროცესუალური და **მატერიალურ-სამართლებრივი** დარღვევების მიუხედავად, საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვის შემდგომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ უარი თქვა საქმის წარმოებაში მიღებაზე, რითაც ძალაში იქნა დატოვებული საქმის ყველა დარღვევა და მესამე ინსტანციის დონეზე არ იქნა უზრუნველყოფილი სამართლიანი სასამართლოს უფლების უხეში დარღვევის ფაქტების გამოსწორება.

6. დასკვნა

ზემოთ აღნიშნული დარღვევების გათვალისწინებით, EMC მიიჩნევს, რომ დეკანოზი გიორგი მამალაძის საქმეზე მიღებული განაჩენები არ აკმაყოფილებს დასაბუთებული გადაწყვეტილების სტანდარტს. საქმეზე არსებითი და გადამწყვეტი ხასიათის მტკიცებულება ეროვნული კანონმდებლობისა და ჩხრეკასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა სტანდარტის დარღვევით არის მოპოვებული, რაც მთლიანობაში გ. მამალაძის მიმართ სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევაზე უთითებს. საქმეზე საჯაროობის მაქსიმალურმა და თვითნებურმა შეზღუდვამ ბრალდების მხარე უთანასწორო მდგომარეობაში ჩააგდო და საქმეზე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მიუხედავად,

²³ The Novalnny and Ofitserov v, Russia, §115

საქმეზე საჯარო კონტროლი შეზღუდა, რაც ცხადია, არსებითად აზიანებს საზოგადოების ნდობას სასამართლოს სისტემის მიმართ.

EMC შესაბამისი სამართლებრივი ინსტრუმენტების გამოყენებით მხარს დაუჭერს დეკანოზი გ. მამალაძის უფლებების დაცვის პროცესს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.